

## აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების/გასაუბრების საკითხები სამართლის  
სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის არჩეული მიმართულების  
შესაბამისად

### 1) საჯარო სამართლის მიმართულებით

#### საკონსტიტუციო სამართალი

საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები. საქართველოს მმართველობის ფორმა. საქართველოს ტერიტორიული მოწყობა. უშუალო დემოკრატიის ფორმები. არჩევნები. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს მთავრობა. სახელმწიფო ფინანსები. სახელმწიფო თავდაცვა და უსაფრთხოება. სასამართლო ხელისუფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. საქართველოს საერთო სასამართლოები. ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში. ძირითად უფლებათა ცნება და კლასიფიკაცია. ძირითადი უფლებების სუბიექტები. მოქალაქეობა. ძირითად უფლებათა დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები.

#### ადმინისტრაციული სამართალი

ადმინისტრაციული სამართალი და საჯარო მმართველობა. საჯარო მმართველობის ცნება. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ადგილი და როლი საჯარო მმართველობის სისტემაში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები. საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმები. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები. საქართველოს მთავრობის საქმიანობის სამართლებრივი ფორმები. ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც ადმინისტრაციულსამართლებრივი რეგულირების ობიექტი. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ძირითადი სამართლებრივი და არასამართლებრივი ფორმები. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. რეალური მოქმედება (რეალაქტი). ადმინისტრაციული ხელშეკრულება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება. არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ინფორმაციის თავისუფლება. ადმინისტრაციული წარმოება. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება. ადმინისტრაციულ წარმოება კოლეგიურ

ადმინისტრაციულ ორგანოში. ადმინისტრაციული წარმოება დამოუკიდებელ ორგანოში. ელექტრონული მმართველობა. ადმინისტრაციული საჩივარი. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა. ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი.

### **ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი**

შესავალი ადმინისტრაციული სამართლის პროცესში. ადმინისტრაციული დავის საგანი. განსჯადობა. მხარეები და მესამე პირები ადმინისტრაციულ პროცესში. პროცესის ხარჯები. სასამართლო მტკიცებულებები. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში. განმწესრიგებელი სხდომა ადმინისტრაციულ პროცესში. სარჩელის დასაშვებობა. სარჩელის დასაბუთება. სარჩელთა სახეები. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე. სარჩელი მოქმედების განხორციელების თაობაზე. აღიარებითი სარჩელი. სუსპენზიური ეფექტი ადმინისტრაციულ პროცესში. დაუსწრებელი გადაწყვეტილების დაუშვებლობა ადმინისტრაციულ პროცესში. გამარტივებული და დაჩქარებული სამართალწარმოება. საიდუმლო ინფორმაციის განხილვის წესი, ინფორმაციის თავისუფლება და სასამართლოს გამჭვირვალობა. ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით. სააპელაციო და საკასაციო საჩივრის დასაშვებობა ადმინისტრაციულ პროცესში. საქმის წარმოების განახლების თავისებურებანი ადმინისტრაციულ პროცესში

### **ლიტერატურა:**

- საქართველოს კონსტიტუცია.
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
- საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, ვ. გონაშვილი, გ. თევდორაშვილი, გ. კახიანი, ი. კახიძე, გ. კვერენჩხილაძე, ნ. ჭილაძე, თბ., 2020.
- ვ. კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეხუთე გამოცემა, თბ., 2020.
- ვ. ტურავა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2018.
- ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, ავტორთა ჯგუფი, რედ: გ. ხუბუა, კ. ყალიჩავა, თბ., 2018.
- მ. კოპალეიშვილი, ვ. ტურავა, ი. ხარშილაძე, ხ. ლორია, თ. გვარამაძე, თ. ღვამიჩავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბ., „იურისტების სამყარო“, 2018.

## 2) კერძო სამართლის მიმართულებით

### სამოქალაქო სამართალი

სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი. შესავალი დებულებანი. გარიგებანი. ქმედუნარიანობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა. გარიგების ფორმა. მოტყუებით დადებული გარიგებანი. იძულებით დადებული გარიგებანი. თანხმობა გარიგებებში. წარმომადგენლობა გარიგებებში. უფლების განხორციელება. ვადები. ვადების გამოთვლა. ხანდაზმულობა. სანივთო (ქონებრივი) სამართალი. ვალდებულებითი სამართალი. ზოგადი დებულებანი ვალდებულებათა შესახებ. სახელშეკრულებო სამართალი. ნასყიდობა. გაცვლა. ნასყიდობა გადახდის განვადებით. გამოსყიდვა. უპირატესი შესყიდვის უფლება. ჩუქება. ქირავნობა. ლიზინგი. იჯარა. სესხი. ნარდობა. ტურისტული მომსახურება. დავალება. დაზღვევა. ზოგადი დებულებანი. სადაზღვევო შესატანი. ზიანის დაზღვევა. სიცოცხლის დაზღვევა. უბედური შემთხვევის დაზღვევა. საბანკო მომსახურება. ანგარიშსწორება. საბანკო კრედიტი. ანაბარი. საბანკო გარანტია. თავდებობა. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა). სამისდღეშიო რჩენა. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი. საზიარო უფლებები. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება. უსაფუძვლო გამდიდრება. დელიქტური ვალდებულებანი. პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის. საოჯახო სამართალი. დაქორწინების წესი და პირობები. ქორწინების შეწყვეტა. ქორწინების ბათილობა. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები. მემკვიდრეობის სამართალი. მემკვიდრეობა კანონით. მემკვიდრეობა ანდერძით. ანდერძის ფორმა. სავალდებულო წილი. ანდერძის შეცვლა ან მოშლა.

### სამოქალაქო საპროცესო სამართალი

სამართალწარმოების ძირითადი დებულებანი. უწყებრივი ქვემდებარეობა. განსჯადობა. სასამართლოს შემადგენლობა. აცილება. პროცესის ხარჯები. საპროცესო უზრუნველყოფა. საპროცესო ვადები. მხარეთა საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. საპროცესო თანამონაწილეობა. მესამე პირები. წარმომადგენლობა სასამართლოში. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა. მხარეთა ახსნა-განმარტება. წერილობითი მტკიცებულება. მოწმეთა ჩვენება. ნივთიერი მტკიცებულება. ექსპერტის დასკვნა. საქმეების განხილვა პირველი ინსტანციით. სასამართლო მედიაცია. შეგებებული სარჩელი. სარჩელის უზრუნველყოფა. საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად. სასამართლოს მთავარი სხდომა. დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება. საქმის წარმოების დამთავრება გადაწყვეტილების

გამოტანის გარეშე. საქმის წარმოების შეჩერება. სასამართლო განჩინება. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვის წესი. ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი. უდავო წარმოება. ზოგადი დებულებანი. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა. საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი. სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეზე. პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება. პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა. აპელაციის დასაშვებობა. საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. კასაციის დასაშვებობა. საქმის წარმოება საკასაციო სასამართლოში. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. კერძო საჩივრის დასაშვებობა და განხილვის წესი. განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ და მისი განხილვის წესი.

### ლიტერატურა:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
- ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011.
- სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბ., 2017, [http://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil\\_code\\_comm\\_I\\_Book.pdf](http://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_I_Book.pdf)
- სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, თბ., 2018. [http://lawlibrary.info/ge/books/giz2018-ge-civil\\_code\\_comm\\_II\\_book.pdf](http://lawlibrary.info/ge/books/giz2018-ge-civil_code_comm_II_book.pdf)
- თ. ზარანდია, სანივთო სამართალი, თბ., 2019.
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბ., 2019. [http://lawlibrary.info/ge/books/giz2019-ge-civil\\_code\\_comm\\_III\\_book.pdf](http://lawlibrary.info/ge/books/giz2019-ge-civil_code_comm_III_book.pdf)
- ავტორთა ჯგუფი, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, რედ. გიორგი ჯუღელი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014. [http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract\\_Law\\_Textbook\\_GEO.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/8463Contract_Law_Textbook_GEO.pdf)
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი (კერძო ნაწილი), ელ.ვერსია: [www.gccc.ge](http://www.gccc.ge)
- მ. ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2018.
- რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2019.
- ზ. ძლიერიშვილი სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ; 2012.
- შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2015.

### 3) სისხლის სამართლის მიმართულებით

#### სისხლის სამართალი

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა. სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, დანაშაულის კატეგორიები. ერთიანი დანაშაულის სახეები. დანაშაულის სიმრავლე. დაუმთავრებელი დანაშაული. დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი. ბრალის გამომრიცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი. სასჯელის მიზნები და სახეები. სასჯელის დანიშვნა. პირობითი მსჯავრი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება. სასჯელისაგან გათავისუფლება. ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სასჯელთა სახეები, მათი გამოყენების წესი და პირობები. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ. დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ. დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ. დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში. დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ. დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ. ნარკოტიკული დანაშაული. სატრანსპორტო დანაშაული. კიბერდანაშაული. დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ. ტერორიზმი. სამოხელეო დანაშაული. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ. დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ. დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ. დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება. დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ. დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ.

#### სისხლის სამართლის პროცესი

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, მისი ამოცანები და მოქმედების სფერო. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის გამოყენების წესი, კანონის ანალოგია. სისხლის სამართლის პროცესის ტერმინები. სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები. სისხლის სამართლის

პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები. აცილება, თვითაცილება. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის ღონისძიებები. მტკიცებულება - მტკიცების საგანი. მტკიცების პროცესი. გამოძიების საფუძვლები. საგამომძიებო მოქმედებები. სხვა საპროცესო მოქმედებები. სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველი. სასამართლო განხილვის ზოგადი დებულებანი. ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები და საფუძველი. საპროცესო შეთანხმება. წინასასამართლო სხდომა და საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში. სასამართლო განაჩენის დადგენა და მისი აღსრულება. აპელაცია-ზოგადი დებულებანი. კასაცია-ზოგადი დებულებანი. ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა. პროცესი არასრულწლოვანთა საქმეებზე და იურიდიული პირისთვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს.

### ლიტერატურა:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
- მ. ტურავა. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თანდართული ტესტების ნიმუშებითა და კაზუსის ამოხსნის მეთოდის გამოყენებით. (მეცხრე გამოცემა) თბ., 2013.
- სისხლის სამართალი: ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მე-4 გამოცემა, ავტორთა ჯგუფი ; რედ.: გურამ ნაჭყებია, ნონა თოდუა, თბ., „მერიდიანი“, 2019.
- სისხლის სამართლის კერძო ნაწილი: წიგნი I /ავტ.: მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი - მე-7 გამოცემა. - თბ., 2019.
- სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, ავტ. მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა. გ. მამულაშვილი. მე-6 გამოცემა. თბ. 2020.
- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი კერძო ნაწილი, რედ.: ლალი ფაფიაშვილი, თბ., 2017.
- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., 2015 <http://edu.gba.ge/wp-content/uploads/2015/12/ss-komentarebi.pdf>